

როცა „თქმა სჯობს არათქმას“

(რეცენზია. დაიბეჭდა ვებსაიტზე alazani.ge)

ფოლკლორულ ანსამბლ „სახიობას“ ხელმძღვანელმა მალხაზ ერქვანიძემ 15 თებერვალს, კონსერვატორიის დიდი დარბაზის სცენიდან აღნიშნა (ეს მას ადრეც უთქვამს - კვლავ სცენიდან), რომ ქართული მუსიკალური ფოლკლორის განვითარების ერთ-ერთ პრინციპულ პირობად იგი კრიტიკის გამოცოცხლებას მიიჩნევს. მან კვლავ დაადასტურა ისიც, რომ ჯანსაღ კრიტიკას უპირველესად სწორედ იგი მიიღებს მაღლიერებით. ამ სიტყვების მომსმენს გამახსენდა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის და ანსამბლ „ბასიანის“ ხელმძღვანელის, გიორგი დონაძის ანალოგიური, კრიტიკისადმი ღია პოზიცია ჩემთან საუბარში გასული წლის ბოლოს.

ისიც აღსანიშნია, რომ კრიტიკა დღევანდელ მუსიკალურ-ფოლკლორისტულ საზოგადოებაში საკმაოდ „უმაღურ“ ინიციატივად მოჩანს. მწირია როგორც ჯანსაღი კრიტიკის, ასევე ასეთი კრიტიკის ჯანსაღად აღქმის ტრადიცია (ედიშერ გარაყანიძის კრიტიკული წერილების შემდეგ ამ მხრივ, რბილად რომ ვთქვათ, ცოტა რამ გაკეთდა). ისიც ყველას მოგვეხსენება, რომ დღევანდელი საქართველოს სხვადასხვა საზოგადოებრივ სიბრტყეში არათუ დაპირისპირებული, არამედ ნეიტრალური მხარეც ყოველ გამოთქმულ მოსაზრებას ეჭვის პოზიციიდან უმზერს. არც ისაა დასამალი, რომ საქართველოს მუსიკალურ-ფოლკლორულ სივრცეში ჯერ კიდევ არ დაშრეტილა ერთმანეთის გაკილვის თუ არალიარების მუხტი.

ასეა თუ ისე, სავსებით ვეთანხმები და მხარს ვუჭერ ჩემი კოლეგების ზემოაღნიშნულ მზაობას კრიტიკისადმი და ვეცდები, მუსიკისმცოდნეთა საქმიანობას ამ მიმართებით მცირედით მეც „წაეუჯიკო“. და აი, წარმოგიდგინებ ჩემს კრიტიკულ მოსაზრებებს (კრიტიკაში, ცხადია, მხოლოდ უარყოფით კონტექსტს არ ვგულისხმობ) თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში სამი დღის შუალედით (15 და 19 თებერვალს) სწორედ ამ ორი ლიდერის ხელმძღვანელობით ორი საკმაოდ განსხვავებული კონცერტის ფოლკლორული ანსამბლების „სახიობას“ და „ბასიანის“ კონცერტების ჩემეულ მიმოხილვას.

ანსამბლი „სახიობა“ აქცენტს სიმღერა-გალობის ეთნოგრაფიულ სინამდვილესთან სიახლოვეზე აკეთებს (კუთხური ხმოვანება, ტემბრი, არტიკულაცია, ხასიათი), ხოლო ანსამბლი „ბასიანი“ - ჟღერადობის ზოგად ხარისხზე (შესრულების სიფაქიზე, სიზუსტე, ორგანიზაცია, მუსიკალობა). თუმცა ეს ორი ასპექტი ორივე ანსამბლისთვისაა პირველხარისხოვანი, რაც მათ, ზოგადი პროფესიონალიზმის გათვალისწინებით, ჩემი აზრით, ქართული ფოლკლორული ანსამბლების პირველ ხუთეულში (თუ სამეულში არა) აყენებს.

ორივე ანსამბლი, მსგავსად სხვა დღევანდელი წარმატებული ჯგუფებისა, ახალგაზრდულია (ეს კი ზოგჯერ ბადებს ერთგვარ მონატრებას ასაკოვანი კაცების მიერ მაღალმხატვრული შესრულებისა, რაც დღეს მეტად გაიშვიათდა). კიდევ ერთი საერთო ნიშანი აქვთ ამ ანსამბლებს - მჭიდრო კავშირი სამგალობლო პრაქტიკასთან: „სახიობა“ მამადავითის სამონასტრო გუნდის ძირითადი ბირთვია, ისევე, როგორც „ბასიანი“ - ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძრისა (აქ მისი ხელმძღვანელი სვიმონ ჯანგულაშვილია). ძნელია, ვისაუბროთ

ანსამბლის წევრთა „პირადი შემადგენლობის“ პროფესიონალიზმის ურთიერთშედარებაზეც. მკაფიო განსხვავება მხოლოდ ერთია (რომელიც ერთგვარ დიალექტიკურ კავშირშია სწორედ პროფესიონალიზმთან) - სტატუსი „სახელმწიფო“ და, შესაბამისად, მოღვაწეობის სისტემურობა.

„სახიობა“ 15 თებერვალი

მაღხაზ ერქვანიძის მიერ შემოთავაზებული ტრადიციული მუსიკის სადამოები ყოველთვის გამოირჩევა ეთნიკური რეალიის თვალსაჩინოობით და ორიგინალური დრამატურგიით. გამოჩენილი ლოტბარი (რომლის შარშანდელმა 50 წლის იუბილემ რატომღაც შეუმჩნევლად ჩაიარა) ანსამბლ „სახიობას“ სახით, რომელშიც პირველ რიგში ქართული სიმღერისადმი გულანთებული ახალგაზრდებია შემოკრებილი და მხოლოდ შემდეგ - გამორჩეული ვოკალური უნარების პირები, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იგი შემთხვევით არ ყოფილა დაარსებიდან 20 წლის განმავლობაში ანსამბლ „ანჩისხატის“ გამოკვეთილი ლიდერი.

სანამ „მაგრამ“-ს ვიტყვოდე, „სახიობას“ კიდევ ერთ წარმატებულ კონცერტს მივულოცავ. ხშირ შემთხვევაში ანსამბლმა ნამდვილი კუთხური, ფოლკლორული „სურნელი“ შეგვარძნობინა. ბიჭები სულს და გულს ატანენ სიმღერაში. ცხადია, მათ ძალას მატებს თავად მაღხაზ ერქვანიძის თანამესრულებაც, რომელიც, არა მარტო მათთვის, ფოლკლორის ერთ-ერთი მთავარ მატარებლად აღიქმება დღევანდელ საქართველოში. ბატონი მაღხაზი, მიუხედავად მისი ერთგულებისა ავთენტიკური შესრულებისადმი, არ გაურბის კონცერტზე შოუს ელემენტებს (ვიდეოილუსტრაციები, სტუმარი შემსრულებლები, პოპური), რაც ღონისძიებას ყოველთვის მიმზიდველს ხდის თავისი ფერადოვნებით. ზოგადად ჯგუფმა „სახიობა“ დაამტკიცა, რომ იგი კვლავაც მუსიკალურ-ფოლკლორული ელიტის ღირსეულ წევრად რჩება.

40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში რომ ქართულ ხალხურ სიმღერასა და საეკლესიო საგალობელს ყურადღებით უსმენ, ცოტათი ძნელია აღფრთოვანდე ან ახალი ნიმუშით, ან ახლებური შესრულებითა თუ თავად შესრულების ოსტატობით. ამიტომ, „სახიობას“ მსმენელთა მოწონებისა და ენთუზიაზმის გაზიარებით მეტ ყურადღებას დავუთმობ კრიტიკულ შენიშვნებს, რომელიც მხოლოდ კერძო აზრის გამომხატველია და არ აკნინებს რომელიმე, თუნდაც ერთი ნიმუშის მხატვრულ დამაჯერებლობას, წარმოდგენილს ამ კონცერტზე.

ყურადღებას იმსახურებს საკონცერტო სივრცის ვიზუალური მხარე. ჩემი აზრით, ათონის მთაზე გადაღებული კადრების ეპიზოდი, ცოტა არ იყოს გაჭიანურებული იყო. კლიპის ცქერას კიდევ უფრო ძნელს ხდიდა სცენაზე ჩამოშვებული ეკრანის საკმაოდ მაღალი მდებარეობა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კონცერტის რეჟისორმა (იქნებ ანსამბლის ხელმძღვანელობის მოთხოვნით?) მთელი კონცერტისთვის რატომღაც მუქ, ბნელ სცენაზე გათამაშება არჩია.

მომღერალთა განლაგება სცენაზე არ მოითხოვს რაიმე კანონიკას, მაგრამ ცხადია, უკეთესია, როდესაც გარდა აკუსტიკური კანონზომიერებისა, წყობის ბუნებრიობაც მიიღება მხედველობაში. საქმე ხომ ხალხურ ტრადიციასთან გვაქვს. ამ მხრივ ჩემში უკმარობის გრძნობა დატოვა „სახიობის“ მიერ სიმღერა „ავთანდილ გადინადირამ“. აქ „ტრიოს“ (რომელსაც ორი ბანი

ჰყავდა - თუმცა ეს, შესაძლოა, დასაშვებია) მოპასუხე გუნდი თავად ტრიოს მიერ ორად იყო გაყოფილი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ ნიმუშში „სახიობას“ ზოგიერთი მომღერალი - სოლისტი გვერდულად, თითქმის ზურგით იდგა მსმენელთან (მაგალითად, „უფალო შეისმინე“), რითაც შესამჩნევად აგებდა ზოგადი ხმოვანება.

იყო შეცდომებიც, რომელიც ზოგჯერ არცერთ რეპეტიციაზე არ ჩანს და უეცრად სცენაზე დაგემართება კაცს (შეცდომები რეპეტიციაზეც ხდება, მაგრამ თუ იგი ბოლომდე ვერ სწორდება, ასეთ ნიმუშს ერქვანიძე და დონაძე სცენაზე არ გამოიტანენ). ამგვართაგან ყველაზე ყურშისაცემი იყო „ზამთარში“ ბანების უნებური გაორება, რასაც თავად ერქვანიძის მომღერლებთან მისვლამ უშველა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავად ეს ნიმუში ძალიან ბუნებრივად და დამაჯერებლად შესრულდა.

გურული ტრიო ის ფორმატია, რომელიც მართლაცდა უზადო „შეთამაშებასა“ და ხელოვნებას მოითხოვს. „სახიობამ“ ეს უნარები ვერ გამოამჟღავნა „ალიფაში“, თუმცა დაწყება კარგი იყო; ბოლოსკენ ტრიოს დაღლა დაეტყო და გურული არტიკულაციაც ნელ-ნელა მოიშალა (განსაკუთრებით - თორნიკე სხიერელის ხმაში).

„სახიობას“ „გამხიარულდი ბუხაროში“ სოსო კოპალეიშვილის ხმა სხვებზე შესამჩნევად დომინირებდა, ხოლო ბანები სიმღერის ბოლოს ერთი-ორჯერ შეუთანხმებლად ამოძრავდნენ.

მეტად საინტერესო იყო „სახიობას“ „ირინოლი“. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თორნიკე სხიერელისთვის დამახასიათებელი ოდნავ მთრთოლავი ხმის (მის სწორუპოვარ რაჭულ სიმღერებს განუმეორებელ კოლორიტს სძენს) „გასწორება“, რაც, ეჭვი გვაქვს, მალხაზ ერქვანიძის მუშაობის შედეგი უნდა იყოს - მართლაც, სვანურ არტიკულაციას უფრო თანაბრად მჟღერი ხმა უხდება.

„ურმულში“ ჩვეული ოსტატობით კოლორიტული სახე შექმნა ბექა კოვზიაშვილმა, თუმცა იგი ზოგადად, ამ კონცერტზე ცოტა არ იყოს, დაღლილად გამოიყურებოდა და მისი ზედა ბგერები ზოგჯერ არადადაჯერებელი იყო.

კონცერტზე ჩემი ყველაზე დიდი შენიშვნა ეკუთვნის სიმღერას „საყვარელო შენი ჯავრით“, ავქსენტი მეგრელიძის რეპერტუარიდან. დედანში სამი მხარეა ანტიფონურად მომღერალი - ორი ტრიო და გუნდი. მალხაზ ერქვანიძემ სიმღერა ერთ ტრიოდ და ერთ გუნდად დაყო, რაც ბუნებრივია (მეგრელიძის ვერსია ნაკლებად ჯდება ტრადიციულ ფორმატში), მაგრამ რატომღაც გადაძახილის პარტია გაანაწილა როგორც ტრიოში, ასევე გუნდშიც, ეს კი, ჩემი აზრით, მიუღებელია. გადაძახილს ცალკე, გამოყოფილი პარტია ეკუთვნის.

საგალობელ „უფალო შეისმინე“ ანტიფონი კარგად იყო გადანაწილებული, თუმცა ზოგადად მიმაჩნია, რომ ჩვენში საბოლოოდ დასადგენია, თუ რა პრინციპით ვყოფთ ანტიფონში ფსალმუნების ტექსტს: მუსიკალური მასალის მიხედვით, ლოცვის ტექსტის, თუ ზოგადად, ერთ მხარეს სამღერი ოპტიმალური მოცულობის მიხედვით. კარგი იყო სამივე „ალილუიას“ ერთ მხარეს მოთავსება, ასევე - დამაბოლოებელი მუხლის ერთად შესრულება. ოღონდ ესაა, რომ როგორც თორნიკე კანდელაკმა, ასევე ლაშა ჩხარტიშვილმა ბოლომდე ვერ მიატანეს სავსე ხმა.

კარგი იყო ლილვაკებიდან აღდგენილი „ქრისტე აღდგა“, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინ ქართველი ტყვეების დისკის გამოცემის პრეზენტაციაზეც მოგვხიბლა. ასევე ეფექტური და ლოცვითი განწყობით სავსე იყო „ცისკარსა მსთვად“, რომელმაც გაგვაოცა შემსრულებელთა მუსიკალური მახსოვრობით და რომელიც, დიდი ტექსტის მიუხედავად, მშვიდობიანად დასრულდა.

კონცერტს ახალი ფერი შემატა სტუმარმა - ქალთა ანსამბლმა „ლაგუმედა“. თუმცა იგი არ აღინიშნა, როგორც „ქალთა ანსამბლი“ - იმიტომ ხომ არა, რომ მასში ერთი ახალგაზრდა კაციც მონაწილეობს? თავიდან კითხვა გამიჩნდა, თუ რად დასჭირდათ ამ წკრიალ ხმის გოგონებს (რომლებიც ამასწინათ ჩეხეთში საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებულებიც გახდნენ) დამატებით ერთი ბიჭის ბანი, მაგრამ შემდეგ, როდესაც ცეკვა გახდა საჭირო, ამ ბიჭიც ძირითადი ფუნქციაც მაშინ გამოჩნდა (თუმცა - მაინც არადამაჯერებელი ფუნქცია). მოულოდნელი იყო სიმღერა „ლაგუმედას“ გოგონების მიერ უანტიფონოდ შესრულება. არადა ვიცი, რომ მათ ზედა ხმების ორ-ორი კარგი შემსრულებელი არ აკლიათ. ერთგვარად არამშობლიური იყო „ლაგუმედასთვის“ მეგრული „ჰარირას“ შესრულებაც. სიმღერა კარგი გამოვიდა, თუმცა არა ისეთი, როგორც ამ ანსამბლს სვანური სიმღერები გამოსდის. ჩონგურს მალხაზ ერქვანიძე უკრავდა, „ლაგუმედას“ კონსულტანტი (და, როგორც ვიცი, ფაქტობრივი ხელმძღვანელი). მალხაზს ბევრი ვერ შეედრება ჩონგურის დაკვრაში, თუმცა მიმაჩნია, რომ თუ ანსამბლი მიზნად ისახავს კონცერტზე ორი ან სამი ნომრის შესრულებას, მან ეს საკუთარი ძალებით უნდა შეძლოს.

მეტად შთამბეჭდავი იყო „სახიობას“ მიერ გურული და სვანური „ზარების“ შესრულება. „სახიობა“, შეიძლება ითქვას, სვანური „ზარის“ დედანთან მაქსიმალურად მიახლოებული შესრულებით გამოირჩევა. ესაა, რომ სვანური ზარი ცოტა არ იყოს, სწრაფად შესრულებული მეჩვენა (ასეთი შთაბეჭდილება არ დამრჩენია ადრეულ კონცერტზე შესრულებული სხვა ვერსიის დიდებული „ზარიდან“). ასევე ოდნავ სწრაფი და ნაკლებად „დამტკბარი“ მეჩვენა (რაც ასე უხდება მეგრულს) „მოუ ნანა“.

„ხევსურულმა სახუმარომ“ (ტექსტი კარგად არ ისმოდა, მაგრამ მელოდია სახუმაროს მოტივზე იყო) კონცერტს მეტი მრავალფეროვნება შესძინა. შენარჩუნებული იყო რეგიონული არტიკულაცია.

დიდი გამოცოცხლება გამოიწვია თორნიკე სხიერელის მიერ სცენაზე რაჭიდან ჩამოსული ეთნოფორების გრასტია ორდენიძისა და ლოლა მეტრეველის მოხმობამ. ძალდაუტანებელი, გაუჩარხავი შესრულება დღეს პირველ რიგში სწორედ „სახიობას“, ან „მთიების“ კონცერტს მოუხდებოდა.

მალხაზ ერქვანიძის დადგმულ რომელ კონცერტს დააკლდება სიმღერების პოპური? მე ზოგადად დიდი მომხრე არ ვარ სხვადასხვა კუთხის სიმღერებისგან პოპურის აკინძვისა, მაგრამ სცენის ფაქტორის გათვალისწინებით, დღეს ეს პრაქტიკა გარკვეულწილად „მოსათმენად“ მიმაჩნია. ამ კონცერტზე ერქვანიძემ მართლაცდა შესანიშნავი „ყნოსვა“ გამოამჟღავნა მუსიკალური მასალის შეპირაპირებისა. ყველა „მაყრული“ (მეგრული, რაჭული, კუნტა ბედინერი, კუჩხი ბედინერი, გურული - კვლავ მეგრულ მასალაზე) საოცარი ხელოვნებით იყო

ერთ მძივად ასხმული. მართალია, შესრულება ცოტა გაუჭირდათ უკვე დაღლილი ბიჭებს, მაგრამ ნიმუში მართლაც წარმატებული გამოდგა. ერთადერთი შენიშვნა გვაქვს რაჭულ მაყრულთან, სადაც ორივე მუხლი ერთპირულად შესრულდა.

კონცერტი დასრულდა ასევე სინთეზური „თამარის ფერხულით“, რომელიც დაიწყო რაჭული „წაიყვანეს თამარიკით, ხოლო შემდეგ გადაიზარდა სვანური „თამარ დედფალის“ ფერხულში და ცეკვაში. სამპირულ შესრულებაში მონაწილეობდა ასევე ანსამბლი „ლაგუმედა“. კონცერტით კმაყოფილი ხალხის აპლოდისმენტების საპასუხოდ „სახიობამ“ ბისზე ქართლ-კახური „მუშური“ შეასრულა, რომელიც მეტად კოლორიტული იყო, თუმცა უკვე ეტყობოდა, რომ ბიჭები ბოლო ძალებს ხარჯავდნენ.

მალხაზ ერქვანიძის დიდი ნამუშევრის გვერდით უნდა აღინიშნოს „სახიობის“ სოლისტების - სოსო კოპალეიშვილის, ბექა კოვზიაშვილის, დავით აბრამიშვილის, თორნიკე კანდელაკის, თორნიკე სხიერელის (რომლის ანსამბლში დამკვიდრებამ „სახიობას“ ნამდვილად დიდი ძალა შემატა) ოსტატობა (ნუ მიწყენენ ანსამბლის სხვა წევრები, რომლებიც არანაკლები არიან, მაგრამ ერთი-ორის ვერ მოხსენიებას ისევ ასე სჯობს).

ვუსურვებ ანსამბლ „სახიობას“, გააგრძელოს აღმასვლა და მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ქართული სიმღერა-საგალობლის ბუნებრივი განვითარების საქმეში.

ბასიანი 19 თებერვალი

სახელმწიფო ანსამბლი „ბასიანი“ ყოველ ახალ კონცერტზე ამყარებს მოსაზრებას, რომ იგი ნამდვილად ღირსია „სახელმწიფოდ“ სახელდებისა. მისაბამია ანსამბლის ხელმძღვანელ გიორგი დონაძის, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელმძღვანელის ორგანიზაციული საქმიანობა ამ მხრივ და მისი უნარი ქართული სიმღერის ეფექტურად წარმოჩენისა მსმენელის წინაშე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავად ანსამბლში მომღერალი გიორგი ერთ-ერთი (თუ ყველაზე მეტად არა) საუკეთესო შემსრულებელია ბუნებრივი ჟღერადობის მიღწევის მხრივ.

კონცერტი დაიწყო კახური „მგზავრულის“ ორიგინალური ვერსიით. დაწყება უდავოდ კარგი იყო. ოღონდ საინტერესოა, რომ „მგზავრულისთვის“ დამახასიათებელი ანტიფონი - ორპირულობა მხოლოდ ორი ფრაზის შემდეგ გააქტიურდა, თან - პირველი ფრაზის დაუსრულებლობის ხარჯზე. შესაძლოა, ეს მეთოდი მხატვრული ასპექტით გამართლებულია, მაგრამ, ვფიქრობ - არა ფუნქციურობის მხრივ. ასევე უნდა აღინიშნოს შესრულების ერთგვარი მთრთოლვარე, ფაქიზი სტილი, რომელიც სუფრულ ჟანრში უფრო გამართლებულად მიმაჩნია (თუნდაც დასავლური ღიღინების ასოციაციით), ვიდრე - „მგზავრულში“ - პლენერულ, ღია ცის ქვეშ შესასრულებელ სიმღერაში. სიმღერის ორივე მხარის მიერ ერთდროული დამთავრებაც ცოტა სახამუშოა - ამგვარი რამ არც ერთ ავთენტუკურ ნიმუშში არ გვხვდება. თუმცა ეს მეთოდი ნაკლებად რეგლამენტურ, არასარიტუალო ნიმუშში (რა სახითაც დღემდე „მგზავრულმა მოაღწია“ შესაძლოა, დასაშვებადაც მივიჩნიოთ. მეხამუშა ასევე ფრაზის ბოლოს ბანის სვლაში კილოური ბგერის მკვეთრი ცვალებადობა (ბეკარ - ბემოლისა). მიუხედავად გამოჩენილ ლოტბართა მიერ

შესრულებული ზოგიერთ ნიმუშში მყდერი ანალოგიური კონტრასტისა, ერთიდაიგივე კილოს ზგერის ასეთი „მიქსოდიატონიკური“ ცვალებადობა ქართული სიმღერისთვის არაბუნებრივია.

გვასიამოვნა გურულმა ფერხულმაც. ზოგადად, გურული სიმღერები „ბასიანის“ „ჯილაა“. გურული ტრიოს მომღერლები: გიორგი გაბუნია, ბათუ ლომინაძე, ზურა წკრიალაშვილი, სერგო ურუშაძე, გიორგი დონაძე ნებისმერ ქართულ ანსამბლს დაამშვენებენ. ოღონდ ერთია: აქაც და ზოგ სხვა შემთხვევაშიც ტრიოს მოპასუხე გუნდის მეორე ხმა (გიორგი დონაძე) თავისი შედარებით ჩუმი ხმოვანებით ერთგვარად ბალანსს არღვევდა – საპირისპიროდ ტრიოს მეორე ხმის – სერგო ურუშაძისა, რომელიც, პირიქით, ზოგჯერ თავისი სპეციფიკური, ფორმანტებით სავსე ტემბრით და ხმამაღლობით ასევე წინა პლანზე იყო გამოსული ანსამბლიდან. იმასაც ვერ დავიჭინებთ, რომ სერგო ურუშაძეს, ანსამბლის მართლაც გამორჩეულ მომღერალს გურული ტემბრული სიმსუბუქე ახასიათებდეს, რაშიც სისხარტეში ნაკლს არ ვგულისხმობთ.

ბალანსური „გადახრა“ შეინიშნებოდა „მირანგულაშიც“ – სერგო ურუშის ხმა აქაც გამოირჩეოდა პირველი ხმის ფონზე. ზოგადად, სიმღერა კარგი იყო, თუმცა ველოდით, რომ ჩანგზე დამკვრელი ზურა წკრიალაშვილიც იმღერებდა.

სერგოს ამგვარი „გაკილვის“ შემდეგ უნდა აღვნიშნოთ მის მიერ შესანიშნავად ნამღერი „გურულ მაყრული“, სადაც მან ტონი ნებისმერ ან უნებლიეთ, მაგრამ, რაც მთავარია – ბუნებრივად აწია, რამაც ტონუსის ბუნებრივად ამალღების შთაბეჭდილება შექმნა.

„თემ იღბალში“ ქალთა ანსამბლ „იალონის“ ხელმძღვანელ ნინო ნანეიშვილის მონაწილეობამ (რომელიც ხშირად ეხმარება ვაჟთა გუნდებს მეგრულ სიმღერებში) დამიბადა აზრი: რატომ არ უნდა ჰყავდეს სახელმწიფო ანსამბლს ქალთა შემადგენლობა, ან – თუნდაც ერთი-ორი სოლისტი ქალი? მათ ხომ უწევთ (და სახელმწიფო ანსამბლს არ უნდა უწევდეს?) ისეთი სიმღერების მღერა, სადაც ქალთა პარტია აქტუალურია? ამ სიმღერაში კოლორიტული იყო სოლისტი ზაზა ბაჩილავა – ანსამბლის ახალი წევრი. ცოტა გაუგებარი იყო გუნდის მისამღერში კვლავ ნინოს გამოპასუხება ოღონდ ზაზას გარეშე. მგონი უკეთესი იქნებოდა მოპასუხე გუნდში სხვა სოლისტის დაყენება ნინოს მაგივრად.

სიმღერა „ჰეგი ოგაში“ მავანს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნებოდა, რომ გუნდში მხოლოდ ერთი მოკახურე მთქმელი – გიორგი ხუნაშვილი (მართლაც შესანიშნავი მოღერალი) ჰყავთ. პირველი ხმები იცვლებოდა, მეორე – არა. ასევე გაუგებარი იყო ორი კაცის გადაძახილების ერთი კაცის მიერ შესრულება. ეს სიმღერა აშკარად უფრო მეტ შენიშვნას იმსახურებდა, ვიდრე – ქებას, განსხვავებით კონცერტის სხვა სიმღერებისგან.

შესაძლოა „ჰერი ოგას“ ეს ნაკლებად ეკუთვნის, მაგრამ მაინც გამოვთქვამ ჩემს პირად მოსაზრებას სცენაზე ორი სოლისტის ცალკე „აკუსტიკურად მომგებიანად“ დგომის მხრივ. არა მგონია, ასეთი დგომის ხმიერი ეფექტი უფრო მომგებიანი იყოს, ვიდრე სცენაზე ამ დაქსაქსული დგომის ერთგვარად არატრადიციულობისა და ვიზუალურად შეუხედავობის ეფექტი. ეს დგომა სხვა ანსამბლებსაც ახასიათებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს „ბასიანის“ გამორჩეული როლი ამ ტრადიციის დამკვიდრებაში.

სასიამოვნო მოსასმენი იყო ბატონი ანზორ ერქომაიშვილის და გახალხურებული „თუ ასე ტურფა იყავი“. არ ვიზიარებ ამ „არაფოლკლორული“ სიმღერისადმი „ავთენტისკოსთა“ პრეტენზიებს, ჩემი აზრით, სცენაზე გამოტანისას გარკვეული ინფორმაციის წამმღვარებით, მსგავსი სიმღერები ფოლკლორულ სივრცეში მოიაზრება. თუმცა ამ სიმღერის კამერულობის გათვალისწინებით, კარგი იქნებოდა ზედა მოპასუხე ხმა გუნდური არ ყოფილიყო.

მშვენიერი იყო ძმები ერქომაიშვილების ვერსია „შენ ხარ ვენახისა“. აქ ერთ ადგილას მოულოდნელი ცეზურა აშკარად ჯაჭვური სუნთქვის მექანიკური შეუთანხმებლობით იყო გამოწვეული. უნდა აღინიშნოს, რომ „ბასიანის“ ნამღერი საგალობლები ზოგჯერ სცილდება სამების საპატრიარქო გუნდის სტილს და ძველი ჩანაწერებით ნაცნობ ნამღერთან უფრო ახლოა.

ოსტატურად იყო განაწილებული ანტიფონი საგალობელში „ნეტარ არს კაცი“, შესრულებაც ჩვეული – აკადემიური, დახვეწილი. ოღონდ ეგაა – ამ საკმაოდ გრძელი საგალობლის საკმაოდ ხანგრძლივი ცეზურებით ხშირმა წყვეტამ მოსმენა ცოტათი დამღლევი გახადა. გელათის სკოლას, ჩემი აზრით, უწყვეტი განვითარება განსაკუთრებულად უხდება.

დიდად გვასიამოვნა „საშოდ მთიებისამ“, მაგრამ მიუხედავად მაღალპროფესიული შესრულებისა, „იდეალურობისმომლოდინე“ მაინც ტემბრული „ერთფეროვნების“ (კარგი გაგებით) ნაკლებობას აღვნიშნავდი. პირველი ხმა ხშირად იჯახნებოდა მეორეთი (აქ უკვე თავს შევიკავებ კვლავ სერგო ურუშაძის ხსენებისაგან ☺), მით უმეტეს – ხმების გადაჯვარედინებისას.

კარგი და საინტერესო მოსასმენი იყო „ბასიანის“ „საფირმო“ „თამარ დედფალ“ ახალი ინტერპრეტაციით. აქ უნდა აღინიშნოს გიორგი დონაძის ხმადაბალი, მაგრამ ზუსტი სვანური არტიკულაცია, ვიდრე ჰქონდა მის მოპასუხეს (ისევე სერგოს – პროგრამის „ლურსმანს“, თუნდაც იმიტომ, რომ იმ დღეს, რამდენიმე საათით ადრე მესამე შვილი შეეძინა ☺) უფრო ფერხულის ცეკვაში გადაზრდამ კვლავ აქტუალური გახადა ჩემში უცეკვო ტაშის პრობლემა. მე მგონი, დროა, გადავეჩვიოთ შესრულებისას ცეკვის გარეშე ტაშს. ვის ვუკრავთ? მაყურებელს? მე მგონი, სახელმწიფო ანსამბლისთვის აუცილებელია ორი–სამი მოცეკვავის მომზადება, ან აყვანა. არ დავუპირისპირებ ამ მხრივ „ბასიანს“ ზოგიერთ სხვა ანსამბლს („გვარს არ დავასახელებ“).

ეგზოტიკურად გაიჟღერა ფირუზ მახათელაშვილის „ნუ გიყვარს ქალაუმ“, რომელშიც მშვენიერი იყო „ბასიანის“ კიდევ ერთი ქალი დამხმარე ქეთევან გოგოჭური. კარგი და ბუნებრივი იყო მისდამი კვლავ დამწყების – გიორგი ხუნაშვილის გამოპასუხება – პირველ ხმაში. თუმცა, ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა, ქეთევანი გუნდის პარტიას აღარ შეერთებოდა („სელფგამოპასუხება“), თუმცა ამგვარ საავტორო სიმღერებში ეს მხატვრული ხერხი შესაძლოა, მხატვრულად გამართლებულიც იყოს.

კონცერტი დაამშვენა ასევე დედანს მიმსგავსებულმა სანდრო კავსაძისეულმა „მთაო გადმიშვი“, რომელიც ზვიად მიჩილაშვილმა შეასრულა.

ასევე „გემრიელი“ მოსასმენი იყო შილდური „ჩაკრულო“, რომელიც ანსამბლმა ლილვაკების ძველი ჩანაწერიდან აღადგინა. აქ სოლისტები უფრო „ჯანსაღად“, მოლხენით მღეროდნენ, ვიდრე ანალოგიური მოცემულობის ადრეაღნიშნულ „მგზავრულში“.

კონცერტის აპოთეოზი – „ყუმურის ნადური“ მაღალპროფესიულ დონეზე შესრულდა და მართლაც ორმ ეპიკური შთაბეჭდილება დატოვა. გარდა უკვე არაერთხელნახსენები ბალანსის მცირეოდენი რყევისა, ერთი შედარებით სერიოზული შენიშვნაც მაქვს ამ შესრულებისადმი: მაჟორული კონკორდის (სამხმოვანების) გამოჩენისას ერთ–ერთი ფრაზა ანტიფონში მხოლოდ ერთხელ განმეორდა. არადა ნადის გარემოსთვის ფრაზის მხოლოდ ერთხელ გადაძახება სრულიად წარმოუდგენელია. იქნებ ეს მხოლოდ ამ შესრულების დროს დაშვებული შეცდომა იყო?

შესანიშნავი კონცერტი ბისზე გამოძახებულმა „ბასიანმა“ „ვოსა“ „ოჰოჰოიათი“ და „ჰარირათი“ (საინტერესო შეხამებაა) დაასრულა. „ჰარირა“ ისეთი რეგლამენტისაა, სადაც მომღერალთა თავისუფლება განსაკუთრებით უსაზღვროა, ამიტომ თავი გავანებე ჩემს „ცალწარბაწეულ“ კრიტიკულ პოზიციას, მივენდე ჭეშმარიტად მეგრულ ინტონაციას და დიდად მოხიბლულიც დავრჩი. ☺

მინდა მკაფიოდ აღვნიშნო: წინამდებარე წერილში რაოდენობის მხრივ ქებას შენიშვნები სძლევეს. ეს კვლავდაკვლავ პასუხია ჩემი ძვირფასი კოლეგების - მალხაზ ერქვანიძისა და გიორგი დონაძის (ასევე ორივე აღნიშნული გუნდის წევრების) მხრივ კრიტიკის მოლოდინისადმი. დარწმუნებული ვარ, ორივემ კარგად უწყის, რომ ჩემი შენიშვნები თავად ჩემ მიერ არ აღიქმება, როგორც დიაგნოზი ან რეცეპტი. კარგად მესმის, რომ ის განსხვავებული პოზიციები, რომელიც, შესაძლოა, მე არ მომწონს, დაფუძნებული იყოს უფრო მყარ და გამართლებულ არგუმენტებზე, ვიდრე ჩემი მოსაზრებებია. ერთი კია: „მოყვარეს პირში ვუძრახოთ“ უფრო ხშირად, გაბედულად და სიყვარულით.

თამაზ გაბისონია

ეთნომუსიკოლოგი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის დეკანი**

04.03.2015.